



2020-07-24

ვაკანსიის აღწერა

გაყიდვების მენეჯერი

GEO1193630

კომპანია : სტუდია - ნეტიკო ვებ გვერდების შექმნა და პრომოუშენი (netiko - studio)



tbilisi

განათლება : არასრული საშუალო

გამოცდილება : 1 წლიდან - 3 წლამდე

კონტრაქტი : გრძელვადიანი კონტრაქტი

სასურველი სამუშაო საათები : სრული განაკვეთი

ხელფასი : 1 500ლ

ვაკანსიის მდებარეობა



ვაკანსიის დეტალები

ქართულ-ფრანგული IT კომპანია „ნეტიკო“ (Netiko) აცხადებს ვაკანსიას გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე.

აუცილებელი მოთხოვნები:

- ორგანიზებულობა და დროის მართვის უნარი;
- გამართული წერითი და ვერბალური უნარები ქართულ და ინგლისურ ენებზე (მინ. B2 დონე) (გასაუბრება

ჩატარდება ინგლისურ ენაზე);

- როგორც პარტნიორებთან, ისე მესამე პირებთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოების უნარი;
- ნოვატორობის, კრიტიკულად აზროვნებისა და შედეგებზე დაყრდნობით სამომავლო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და სურვილი;
- დამოუკიდებლად მუშაობის, გადაწყვეტილებების მიღების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და სამუშაოს დაგეგმვის უნარი;
- ძლიერი ინტერპერსონალური უნარები. მათ შორის, კომპანიის სტეიკჰოლდერებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ჩვენ გთავაზობთ:

- გახდეთ პროფესიონალების გუნდის წევრი, სადაც თავს იგრძნობთ ერთი ოჯახის წევრად;
- ჩვენ ვაფასებთ ღია, სამართლიან და გამრჯე თანამშრომლებს. ჩვენთვის თქვენი პირადი მიღწევები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თქვენი ჩართულობა კომპანიის მიზნების მიღწევაში;
- მუშაობას კომპანიაში, რომლის ორგანიზაციული კულტურა აგებულია პატივისცემასა და შრომისმოყვარეობაზე. იქნებით რა ნეტიკოს გუნდის წევრი, შესაძლებლობა მოგეცემათ განავითაროთ საკუთარი უნარები და კარიერა საერთაშორისო საქმიან გარემოში.
- საინტერესო შესაძლებლობებით სავსე სხვადასხვა სფეროს გაცნობას;

ფუნქციები და მოვალეობები:

- გაყიდვების სტრატეგიის შემუშავება;
- პოტენციური კლიენტების მოძიება და შესაბამისი ბაზის წარმოება;
- გაყიდვების სტიმულირებისათვის ღონისძიებათა განხორციელება;
- შეთავაზებებისა და შესაბამისი საპრეზენტაციო მასალების მომზადება;
- საკვანძო კლიენტებთან ურთიერთობა და ახალი კლიენტების მოძიება;
- პირდაპირი გაყიდვების წარმოება, სერვისის გაცნობის/გაყიდვის სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება;
- კონკურენტებისა და სამომხმარებლო ბაზრის ტენდენციების იდენტიფიცირება;
- ბაზარზე პროდუქტის ცნობადობის და სერვისის მოთხოვნის ზრდის უზრუნველყოფა;
- საკუთარი საქმიანობის ანალიზი და რეპორტინგი ადმინისტრაციასთან.

სამუშაო პირობები:

- ანაზღაურება: ფიქსირებული + ბონუსი
- ულიმიტო სატელეფონო ბალანსი
- სამუშაო განრიგი: სრული, 09:30-დან 18:30 საათამდე (სამუშაო დღეებში)

თუ თვლი, რომ მზად ხარ მიიღო ახალი გამოწვევები და შეგიძლია საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მოაქციო ჩამოთვლილი უფლება-მოვალეობები, მაშინ ჩვენ შენ გელით.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, გამოგვიგზავნონ ინგლისურ ენაზე შედგენილი რეზიუმე მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე. გთხოვთ, ელ-ფოსტის სათაურში აუცილებლად მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: რეზიუმეს გამოგზავნით, თქვენ ავტომატურად აცხადებთ თანხმობას იმაზე, რომ მასში

აღნიშნული პერსონალური ინფორმაცია დამუშავდება კომპანიის მიერ შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ამასთან, თქვენ მიერ მოწოდებული რეზიუმე შეიძლება დარეზერვებულ იქნას სხვა რელევანტურ პოზიციაზე თქვენი კანდიდატურის განხილვის მიზნით

ONLY APPLICATION WITH CV IN ENGLISH WILL BE ACCEPTED

გისურვებთ წარმატებას!

კონტაქტი